MES 1 22 0001400188

03/11/2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის 20 ოქტომბერს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს მეგა ჰოლდინგის აღმასრულებელი დირექტორი / საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო კაკულია - აზიის განვითარების ბანკის თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამის საჯარო-კერძო პარტნიორობის სპეციალისტი / საბჭოს წევრი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
მაგდა ბოლოთაშვილი - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორის მოადგილე /საბჭოს მდივანი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;

დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი;
სერგო ნოზაძე - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის პრეზიდენტი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანა დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

მაგდა ბარამაძე
მანანა მოისწრაფიშვილი
ლევან მადათოვი
ვერიკო ჭიღლაძე
გიორგი ნაჭყეპია
ნინო ხაჩიძე
ნანა მონიავა
ნინო თამაზაშვილი
ხათუნა ფარეიშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი კონსტრუქტ2
თამარ ზაქარაშვილი - კოლეჯის დირექტორი;
კონსტანტინე ქავთარაძე - კოლეჯის ფინანსური მენეჯერი;

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი
სულხან სულხანიშვილი - დირექტორი;
თინათინ ენდელაძე - დირექტორის მოადგილე;
მარიამ აბელიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი;
ია აკობია - სასწავლო პროცესის მენეჯერი.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“
ვასილ კიკნაძე - კოლეჯის დირექტორი;
მაია ჩიხლაძე - კოლეჯის დირექტორის მოადგილე;

გიორგი ბერაია - კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი ნანა ყუფუნია მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა განმარტება გააკეთა დღის წესრიგთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, თავდაპირველი დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო კიდევ ერთი საკითხი, კერძოდ, შპს ბათუმის დამოუკიდებელ სასწავლებლში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა. მისი განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შორენა ხუბუნაიამ, გადაუდებელ გარემოებათა გამო, ვერ შეძლო საბჭოს სხდომაზე დასწრება, რამაც გამოიწვია დღის წესრიგის კორექტირება.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ,,პანაცეასთვის“ ,,სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

1. ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს,

იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია მიესალმა ექსპერტ მაგდა ბარამაძეს და სთხოვა, წარედგინა საკითხი.

ექსპერტმა საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის ბრძანებით საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი კონსტრუქტ2 -ში (შემდგომში - კოლეჯი) 2022 წლის 8 სექტემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. წარმოების მიზანს წარმოადგენდა "აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ. ბ) კომპონენტის შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტებისა და დაწესებულების ადმინისტრაციასთან შეხვედრა გაიმართა წინასწარ შეთანხმებული განრიგის შესაბამისად. კოლეჯმა, "აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება მიენიჭა საბჭოს 2022 წლის 2 მარტის №218523გადაწყვეტილებით, ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი 2.2 კომპონენტიდან გამომდინარე შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“. კერძოდ, კოლეჯს სრულად არ ჰქონდა შესყიდული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური აღჭურვილობა. შესაბამისად, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, აღნიშნულ კომპონენტთან დაკავშირებით დაინიშნა მონიტორინგი. (იხ. 2022 წლის 2 მარტის N 217159 და 2022 წლის 26 აპრილის №420486 სხდომის ოქმები) კოლეჯის მიერ 2022 წლის 24 აგვისტოს № 939312 წერილით ცენტრში წარმოდგენილ იქნა შესყიდვის ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დათვალიერდა პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი აღჭურვილობა, ასევე საგანმანათლებლო რესურსები. მტკიცებულებების ადგილზე შემოწმებით დადასტურდა რომ, პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი 2.2 კომპონენტთან, შეფასდა როგორც ,,შეესაბამება“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი არის სრულ შესაბამისობაში.

წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული იყო შემდეგი რეკომენდაცია:

,,პროგრამის ბიუჯეტში „ზომის ერთეულად“ განისაზღვროს პროფესიული სტუდენტი და არა „მსმენელი“, ვინაიდან პროგრამა არ წარმოადგენს მომზადება/გადამზადების პროგრამას“.

დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული ექსპერტთა რეკომენდაცია და პროგრამის ბიუჯეტში „ზომის ერთეულად“ განსაზღვრული აქვთ ,,პროფესიული სტუდენტი“, „მსმენელის“ ნაცვლად.

ექსპერტის განცხადებით, მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში ხარვეზები არ დაფიქსირებულა, ასევე, არ გამოვლენილა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები.

ამის შემდეგ მანანა მოისწრაფიშვილმა განაგრძო საუბარი. მისი განცხადებით, წინა ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული გარემო დაწესებულებას აღჭურვილი ჰქონდა A ტიპის გარემოს შესაბამისი აღჭურვილობით. ისინი გეგმავდნენ A და B გარემოს შერწყმას, B გარემოსთვის კომპიუტერულ ტექნიკას შეძენას. წინასწარ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა, რომ დაწესებულებას შეძენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული ყველა ტექნიკა. ვიზიტის ფარგლებში,

მატერიალურად გადამოწმდა დოკუმენტაცია. კერძოდ, შპს გეო-ინსტრუმენტთან გაფორმებული ხელშეკრულები და მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია. ასევე განხორციელდა შეძენილი ინვენტარის ვიზუალური დათვალიერება. ადგილზე სასწავლო გარემოს აღჭურვილობის ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოების შესრულება“ განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა შეძენილია ამ პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მინიმალური აღჭურვილობის ჩამონათვალის შესაბამისად. ასევე, დაწესებულებაში მოწყობილია AC ინტეგრირებული გარემო, რომელშიც განთავსებულია შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით 20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისთვის და 1 კომპიუტერი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. პროფესიული პროგრამა არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას, პრაქტიკულ უნარებს პროფესიული სტუდენტების გამოიმუშავებენ კოლეჯის მფლობელობაში არსებული აღჭურვილობის გამოყენებით საველე პირობებში, ხოლო გაცნობითი პრაქტიკის უზრუნველყოფა ხორციელდება კოლეჯის დამფუძნებელი კომპანიის ,,ბიქეი ქონსტრაქშენის“ რეგიონში მიმდინარე ობიექტებზე ექსკურსიების ფორმატში. დაწესებულება, განაცხადში დაფიქსირებული 40 სტუდენტის მიღებას გეგმავს ორ ცვლაში. გამომდინარე აქედან, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ში (ს/კ: 430035874) „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა სერგო ნოზაძემ დატოვა საბჭოს სხდომა 15:00 საათზე.
საბჭოს წევრი მაგდა ბოლოთაშვილი შემოუერთდა საბჭოს სხდომას 15:00 საათზე.
საბჭოს წევრი რუსუდან გიგაშვილი შემოუერთდა საბჭოს სხდომას 15:00 საათზე.

2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების

არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია მიესალმა ექსპერტ ლევან მადათოვს და სთხოვა, წარედგინა საკითხი.
ექსპერტმა საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით,სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე 2022 წლის 9 სექტემბერს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში (ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. №6) "ვებტექნოლოგიებისა" და "კომპიუტერული ქსელისა და სისტემების" ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.გ) კომპონენტისა და დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ბ) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ბ) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ბ) კომპონენტისა და ე) ქვეპუნქტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით. ეს მონიტორინგი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 15 მარტის №258868 და 2022 წლის 22 ივლისის №N833946 სხდომის ოქმების საფუძველზე განხორციელდა 1.2, 3.2, 4.2, 5.1, 5.2. და "ვებტექნოლოგიებისა" და "კომპიუტერული ქსელისა და სისტემების" 2.3 კომპონენტების ფარგლებში. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. მოხდა გასაუბრება ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პირებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ წინასწარ და ვიზიტის დროს მოწოდებული დოკუმენტაცია.
ექსპერტის განცხადებით, მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში ხარვეზები არ დაფიქსირებულა, ასევე, არ გამოვლენილა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

სტანდარტი №1
ინდიკატორი 1.2.1.1 - დაწესებულება განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, თუმცა რეკომენდებულია, კოლეჯმა დაიცვას სტრატეგიული და სამოქმედო დოკუმენტების დამტკიცების პროცედურა. შესრულებულია.
ინდიკატორი 1.2.1.3 - სტრატეგიული დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, თუმცა რეკომენდებულია, დაწესებულებამ სტრატეგიული მიზნები და ამოცანები განსაზღვროს კომპლექსურად, დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი ღონისძიების სახით, რომელიც სრულად ასახავს პროფესიული განათლების სპეციფიკას, ამასთან სტრატეგიული მიზნის/ამოცანის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის/სტრუქტურული ერთეულის შერჩევისას იხელმძღვანელოს კოლეჯის ძირითადი და დამხმარე პროცესების ადმინისტრირებისათვის განსაზღვრული პირების უფლებამოსილების გათვალისწინებით. შესრულებულია.
სტანდარტი №2

ინდიკატორი 2.1.1.1 - დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯის მიერ ამა თუ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა ასევე ითვალისწინებდეს ისეთი კომპონენტების შესწავლას, როგორიცაა: კონცეპტუალური მიზანშეწონილობა, რესურსული მიზანშეწონილობა, ეკონომიკური მიზანშეწონილობა, სამართლებრივი მიზანშეწონილობა, ოპერაციული მიზანშეწონილობა. ვრცლად იხილეთ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული გზამკვლევი პროგრამების მიზანშეწონილობის შესწავლასთან დაკავშირებით, რაც კოლეჯს დაეხმარება როგორც სამომავლოდ პროგრამების განხორციელების დაგეგმვისას, ისე არსებული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის შესწავლისას. შესრულებულია.

ინდიკატორი 2.2.1.2 - პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა. შესრულებულია.

ინდიკატორი 2.4.1.2 - დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, თუმცა რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშავოს დისტანციური სწავლების წესი. შესრულებულია.

სტანდარტი №3

ინდიკატორი 3.2.1.5 - პროფესიულ სტუდეტთა პერსონალისგან უკუკავშირის მიღების ერთ-ერთ მექანიზმად კოლეჯში არსებობს ე.წ. „ანონიმური ყუთის“ პრაქტიკა, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს „ანონიმური ყუთით“ სარგებლობის ინსტრუქცია, განსაზღვროს ყუთის გახსნის ვადები, პასუხისმგებელი პირები, პროფესიულ სტუდენტებთან უკუკავშირის მექანიზმები და სხვა. შესრულებულია.

სტანდარტი №4

ინდიკატორი 4.1.1.1 - მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, თუმცა რეკომენდებულია, დაზუსტდეს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და მოვიდეს შესაბამისობაში პროფესიული განათლების სპეციფიკასთან. შესრულებულია.

ინდიკატორი 4.1.1.3 - მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში გადაიხედოს აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ ერთეულად/პირად სასურველია განისაზღვროს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. შესრულებულია

ინდიკატორი 4.1.2.1 - დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად, თუმცა რეკომენდებულია, დაზუსტდეს პერსონალის ზეგანაკვეთური მუშაობის ანაზღაურების პირობები. შესრულებულია.

ინდიკატორი 4.1.2.2 - დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, თუმცა რეკომენდებულია დაზუსტდეს პერსონალის შრომის ანაზღაურებიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელი გადასახადების ადმინისტრირების საკითხები. შესრულებულია.
ინდიკატორი 4.1.2.3 - პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ პერიოდულად გაახლოს პერსონალის პირადი საქმე და სრულფასოვნად განათავსოს პირად საქმეში პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მტკიცებულებები (სერტიფიკატები, ცნობები და სხვა). შესრულებულია.
ინდიკატორი 4.2.1.3 - დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუმცა, რეკომენდებულია, პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების ღონისძიებები ასევე ეფუძნებოდეს მათი საჭიროების კვლევის შედეგებს. შესრულებულია.
ინდიკატორი 4.2.1.5 - დაწესებულებაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებამ გაწეროს პერსონალის ინიციატივების წარმოდგენის, განხილვის, დაკმაყოფილების/უარის თქმისა და ანგარიშგების პროცედურები, განსაზღვროს პერსონალის ინიციატივების სფეროები/მიმართულებები და აღნიშნული გაითვალისწინოს დაწესებულების ბიუჯეტში. შესრულებულია.
სტანდარტი №5
ინდიკატორი 5.1.1.11 - მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, თუმცა რეკომენდებულია, ბიბლიოთეკაში განხორციელდეს მკითხველთა რეგისტრაცია, რაოდენობრივი და თვისებრივი ინსტრუმენტების გამოყენებით საბიბლიოთეკო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა და განვითარების ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მკითხველებისათვის კურიკულუმის გარეშე ლიტერატურის/სერვისის შეთავაზების. შესრულებულია.

საბჭოს წევრმა ნატალია კვაჭანტირაძემ დატოვა საბჭოს სხდომა 15:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

მომხრე: 7
წინააღმდეგი 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში (ს/კ: 405318570) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ

აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია მიესალმა ექსპერტ ნინო ხაჩიძეს და სთხოვა წარედგინა საკითხი.
ექსპერტმა საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით, შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ახალი ფართის ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ე.ა) და ე.ბ) კომპონენტების შემოწმების მიზნით, არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება. ექსპერტის განმარტებით, მიმდინარე წლის 21 სექტემბერს, არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებაში (ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. N 2). დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება, სტანდარტის 5.1 და 5.2 კომპონენტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება. შეხვედრის ფარგლებში, ეტაპობრივად ხორციელდებოდა მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებთან. ვიზიტის ბოლოს, შეჯამებული სახით, დაწესებულების წარმომადგენლებს მიეწოდა ინფორმაცია ძირითადი მიგნებების შესახებ.

ვიზიტისას შეფასდა მონიტორინგისას შესაფასებელი სტანდარტის კომპონენტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციებისშესრულება.

შესაბამისობის რეკომენდაცია:
„5.1.2.3. კოლეჯმა უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება-შეთანხმება კომპეტენტურ ორგანოსთანდირექტორის 2022 წლის 19 მაისის N146 ბრძანების შესაბამისად დამტკიცებულ სტანდარტებთან შესაბამისობისუზრუნველყოფის გეგმის თანახმად, რომლის შესრულების ვადაც განსაზღვრულია 23.05.2022 – 23.08.2022 (3 თვე).“
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას საგანგებო-სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული აქვს კომპეტენტურ ორგანოსთან.

განმავითარებელი რეკომენდაცია:
„5.1.1.2. ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია, ჩანაწერს იმასთან დაკავშირებით, რომ მატერიალური რესურსით სარგებლობის უფლების გაცემა შესაძლებელია მხოლოდ დირექტორის თანხმობის შემთხვევაში, დაემატოს სხვა პასუხისმგებელი პირიც, რომელსაც დირექტორის არ ყოფნის შემთხვევაში უფლება ექნება საჭიროების შემთხვევაში გასცეს თანხმობა, რესურსით სარგებლობის შესახებ. ვთვლით ასეთი ჩანაწერი უფრო მოქნილს გახდის პროცესს.“
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და დირექტორის ბრძანებით ცვლილება შეიტანა შინაგანაწესში.

ექსპერტის განცხადებით, მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში ხარვეზები არ დაფიქსირებულა, ასევე, არ გამოვლენილა სტანდარტთან შესაბამისობის და განმავითარებელი რეკომენდაციები.

ექსპერტის განცხადებით, საჯარო რეესტრის ამონაწერით ირკვევა, რომ ახალდამატებული ფართი მდებარეობს ქ. თბილისში, თორნიკე ერისთავის ქ. N2-ში, მეოთხე სართულზე, რომელიც იჯარით აქვს აღებული შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „გეორგია“- სგან (ს/კ: 204859534 - ფართი 172.00 კვ. მ) და ფიზიკური პირისგან - (ფართი 343.5 კვ. მ). იჯარის ხელშეკრულებებით განსაზღვრულია, რომ მოიჯარეს უფლება აქვს იჯარის ობიექტით სარგებლობისას იჯარის ობიექტი გამოიყენოს სასწავლო პროცესის წარმართვისთვის და ასევე, მეიჯარესთან შეთანხმებით ჩაატაროს სარემონტო (მიმდინარე, კოსმეტიკური) სამუშაოები. იჯარის ხელშეკრულებებთან ერთად წარმოდგენილია, მიმდინარე წლის 26 აგვისტოს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „გეორგია“-სთან გაფორმებული ინვენტარისა და აღჭურვილობის ქირავნობის ხელშეკრულება, რომლითაც „გამქირავებელი“ „დამქირავებელს“ დროებით სარგებლობაში/ მფლობელობაში გადასცემს „გამქირავებლის“ საკუთრებაში არსებულ ინვენტარს/აღჭურვილობას. ხელშეკრულებას დანართის სახით ახლავს ინვენტარი/აღჭურვილობის ჩამონათვალი. ქირავნობის და იჯარის ხელშეკრულებები მოქმედია 2028 წლის 1 აგვისტომდე.
გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას ავტორიზაციის შესახებ ძალაში შევიდა 2022 წლის 4 აგვისტოდან და დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი მიენიჭა 6 წლის ვადით, დაწესებულების საქმიანობა (ახალდამატებული ფართის ფარგლებში) უზრუნველყოფილი არ იყო შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. ვიზიტის ფარგლებში, დაწესებულებამ ცვლილება შეიტანა იჯარის და ქირავნობის ხელშეკრულებებში და ხელშეკრულებების მოქმედების ვადად განსაზღვრა 2028 წლის 31 დეკემბერი. საჯარო რეესტრის ამონაწერით საბოლოო თარიღად განსაზღვრულია 31.12.2028 წელი. შესაბამისად, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.
ექსპერტის განცხადებით, 5.1 და 5.2 კომპონენტი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაშიგანხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი.

მომხრე: 7
წინააღმდეგი 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეაში (ს/კ:400023595) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრი ნატალია კვაჭანტირაძე შემოუერთდა საბჭოს სხდომას 16:05 საათზე.

4. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ,,პანაცეასთვის“ ,,სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია მიესალმა ექსპერტ ნინო თამაზაშვილს და სთხოვა, წარედგინა საკითხი.
ექსპერტმა საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს საზოგადოებრივ კოლეჯში ,,პანაცეა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2022 წლის 21 სექტემბერს განხორციელდა ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯში ,,პანაცეა“ (ქ. თბილისი, თ. ერისთავის ქ. N2). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები/პრაქტიკის ობიექტები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ორი განმავითარებელი რეკომენდაცია:
2.2.1-3. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროგრამის დანართში ,, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამკერვალო წარმოება განმახორციელებელი ადამიანური რესურსი“ მოდულის ,,ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია“ განმახორციელებელია 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი, თუმცა ერთ-ერთ განმახორციელებელ პირს, წარმოდგენილ პირად საქმეში არსებული დოკუმენტაციის მიხედვით, არ უდასტურდებოდა პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების გამომუშავების კომპეტენცია. პროგრამის განხორციელების მდგრადობა ეჭვქვეშ არ დგება, ვინაიდან აღნიშნულ მოდულის განხორციელებისთვის გათვალისწინებულია კიდევ სამი პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო აღნიშნული პირის სამუშაო გამოცდილება არ იყო საკმარისი მოდულის სრულყოფილად განხორციელებისთვის. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია შემდგომი განვითარების მიზნით, დაწესებულებას განეხორციელებინა ცვლილება პროგრამის დანართში ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სამკერვალო წარმოება განმახორციელებელი ადამიანური რესურსი“ და ზემოხსენებული პირი ამოეღო პროგრამის განმახორციელებელთა სიიდან. დაწესებულებამ უკვე გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას წარმოადგინა ბრძანება, ზემოაღნიშნულ პროფესიული განათლების მასწავლებელთან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

2.4.1-5. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, კოლეჯი „პანაცეა“ თანამშრომლობს შემდეგ დაწესებულებებთან: ,,შპს პრემიერატმ“ და შპს ,,უნისტილი“. გაფორმებულ ხელშეკრულების მე- 4 მუხლში (მხარეთა უფლებები და ვალდებულებები) პარტნიორი კომპანია იღებდა ვალდებულებას უზრუნველყო პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის მოდულების გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისა და დადასტურების შესაძლებლობა პროფესიული სტუდენტებისათვის. გამოეყო სამუშაო სივრცე და ინსტრუქტორი პროფესიული სტუდენტებისათვის. დაწესებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ზემოაღნიშნული მოდულების გახორციელება საწარმოს მიერ უზრუნველყოფილი იქნებოდა შესაბამისი მასალა-ნედლეულით, თუმცა ხელშეკრულებაში მსგავსი ჩანაწერი არ ფიქსირდებოდა. ექსპერტთა მიერ დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია პარტნიორ საწარმოებთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეეტანა ცვლილება, დაეზუსტებინა მე-4 მუხლში მოცემული ჩანაწერი და აესახა პრაქტიკის ობიექტის ვალდებულება მასალა-ნედლეულით უზრუნველყოფის შესახებ. დაწესებულებამ უკვე გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას წარმოადგინა ხელშეკრულების დანართები (05.10.2022წ) ორივე საწარმოსთან, სადაც დაზუსტებულია ჩანაწერი და მითითებულია პრაქტიკის ობიექტის ვალდებულება მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მასალა ნედლეულით უზრუნველყოფის შესახებ.

საბჭოს წევრი ნინო ველთაური შემოუერთდა საბჭოს სხდომას 16:25 საათზე.
საბჭოს წევრმა რუსუდან გიგაშვილმა დატოვა საბჭოს სხდომა 16:30 საათზე.

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობის დებულების მე-2 მუხლის (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შერჩევა/შემუშავება, დამატება, ცვლილებების შეტანა, გაუქმება) მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევის დროს კოლეჯი ითვალისწინებს მისიასთან თავსებადობას, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და ადგილობრივ პრიორიტეტებს, სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს (მეორადი კვლევის შედეგებს) და სხვ. წარმოდგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან და გარე პირობებიდან გამომდინარე, არჩევს მაქსიმალურად თავსებად და ოპტიმალურ პროგრამებს. კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებაში მოცემულია როგორც პსდ-ს მიერ ჩატარებული ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. კვლევის ანალიზისას იკვეთება, რომ ქვეყანაში პრობლემურ საკითხს წარმოადგენს შრომის ბაზარზე შესაბამისი კვალიფიკაციისა და უნარების მქონე კადრების მოძიება. ხშირია კადრების გადინება საზღვარგარეთ, ამიტომ დამსაქმებელთათვის პროფესიონალი კადრების დეფიციტია და შესაბამისად მათი მხრიდან გაზრდილია მოთხოვნა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისა და მომზადების/გადამზადების პროგრამის კურსდამთავრებულებზე.
ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობები და კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრული პროცედურები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“ დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, რაც შესაბამისია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული დაშვების წინაპირობისა.
დაწესებულების მიერ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები კი განსაზღვრულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის

წესით, რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას: დაინტერესებულ პირთა კონსულტირებას, რეგისტრაციას, შერჩევას, საკონკურსო კომისიის ჩამოყალიბებას, აპლიკანტთა გასაუბრებას და სხვა. დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის No42/ნ ბრძანებას „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

კოლეჯის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და ითვალისწინებს კოლეჯის და განსახორციელებელი პროგრამის სპეციფიკას. აღნიშნული წესის თანახმად კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ან გაზრდისას მხედველობაში მიიღება: A,B,C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა სამუშაო ადგილებისა და ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობა; პროფესიული პროგრამის ხანგრძლივობა; ადამიანური რესურსი; პარტნიორი ორგანიზაციის რესურსი და გამტარუნარიანობა. (პროგრამის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციასთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩასარიცხ პირთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, ხოლო სასწავლო რესურსის ჩამონათვალი წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. ექსპერტთა ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრების და დათვალიერების შედეგებით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსებით, პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (30 პროფესიული სტუდენტი);

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ,,პანაცეასთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სამკერვალო წარმოება“დამატების შესახებ საკითხი.

მომხრე: 8
წინააღმდეგი 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ,,პანაცეას” (ს/კ:400023595) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული ,,სამკერვალო წარმოების“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი).**

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 17:05 საათზე ავტორიზაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბოლოთაშვილი მაგდა

დანართი

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	თბილისი, თ. ერისთავის N2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115